აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი 1

16 მარტი 2007 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, იურიდიული სამსახურის უფროსი ფრიდონ ბათნიძე;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს, უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)

2. **დადგენილება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (მომხს. ა. მიქელაძე)
3. სხვადასხვა

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიას მთლიანობაში აქვს 41 საშტატო ერთეული ოლქების ჩათვლით. რეორგანიზაციის შედეგად უსკოს აპარატში დარჩება 12 საშტატო ერთეული და აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელობას მოითხოვს უსკოს ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება. მან აღნიშნა, რომ უსკოს აპარატში შემცირდება მხოლოდ ის საშტატო ერთეულები, რომელთა შემცირებაც ხელს არ შეუშლის უსკოს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარე ასევე შეეხო უსკოს ოლქების ლიკვიდაციის საკითხსაც და აღნიშნა, რომ დღეს არსებული უსკოს ოლქები იმ სახით, რა სახითაც არის დღეს მომავალში ვერ განახორციელებს მის უფლებამოსილებებს, ვინაიდან საარჩევნო კოდექსში და საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა რიგი ცვლილება და დამატება. შესაბამისად უმაღლეს საბჭოში განიხილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონონი და უახლოეს პერიოდში დღეს არსებული ხარვეზები უსკოს ოლქებთან დაკავშირებით გაირკვევა, მოხდება მათი ლიკვიდაცია

თუ სხვა სახით შეიქმნება. ასევე განხილული იქნა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: თამაზ შარმანაშვილმა და გია გარსევანიშვილმა. სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანდართული საშტატო განრიგი:

ა) დანართი №1 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრები);

ბ) დანართი №2 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი);

გ) დანართი №3 (საოლქო საარჩევნო კომისიები).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 (გაზეთი „აჭარა" 19. 01. 06. წ № 8) დადგენილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1-ლი აპრილიდან.

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება გამოწვეულია უსკოს აპარატში შტატების შემცირებით. მან აღნიშნა, რომ რადგანაც გაუქმდა აპარატის უფროსისა და ბუღალტერის საშტატო ერთეულები, რეგლამენტიდან ამოღებული უნდა იქნას ის მუხლები და პუნქტები, რომლების შეეხებოდა ამ თანამდებობის პირების უფლებამოსილებებს. ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკური სამსახურის უფლებამოსილებებს დაემატება ერთი ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური სამსახურის უფროსი განახორციელებს ბუღალტრის ფუნქციებსაც. სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ. სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტისა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 № 91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. ამოღებული იქნას მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.
2. ამოღებული იქნას მე-7 მუხლი.
3. ამოღებული იქნას მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ” ქვეპუნქტი.
4. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ” პუნქტი:

„პ) ეკონომიური სამსახურის უფროსი იმავდროულად ახორციელებს ბუღალტრის ფუნქციებს”.

6. ამოღებული იქნას 15^1 მუხლი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 აპრილიდან.

3. სხვადასხვა

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია